სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებების ჩამონათვალი

(2019 წლის III კვარტალი)

- **დასაქმების ფორუმი სტუდენტებისთვის** - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა დასაქმების ფორუმი უნივერსიტეტების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის. სამინისტროს დანაყოფებმა სტუდენტებს 400-მდე ვაკანსია და სტაჟირების პროგრამა შესთავაზეს. დასაქმების ფორუმის ფარგლებში, სამინისტროს წარმომადგენლებმა პრეზენტაციები წარადგინეს თავიანთი დანაყოფების საქმიანობისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. მოეწყო თემატური პავილიონიც, სადაც სამინისტროს დანაყოფებმა თავიანთი საქმიანობისთვის დამახასიათებელი ტექნიკური საშუალებები გამოფინეს (16 ივლისი).

<u>მიგრაციის დეპარტამენტი</u>

- **შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან თავშესაფრის საკითხებზე** - ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების ცნობიერების ამაღლება საქართველოში არსებულ თავშესაფრის სისტემასთან დაკავშირებით. ღონისძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სტუდენტებს გააცნო საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემა, კანონმდებლობა და ინსტიტუციური ჩარჩო. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია თავშესაფრის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების კონტექსტში (6 ივლისი)

- **თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებისთვის საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემის გაცნობა** - შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მარტყოფის თავშესაფრის მიმღებ ცენტრში განთავსებული თავშესაფრის მაძიებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მათ სამართლებრივ და სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით. ღონისძიების ფარგლებში, განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: წვდომა ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების სერვისებზე, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებები და მოვალეობები. ბენეფიციარებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ (17 ივლისი)

“112”

- **ღია კარის დღე (3 შეხვედრა, ივლისი/აგვისტო/სექტემბერი)** - ყოველთვიურად სსიპ „112“ დაინტერესებული მოქალაქეებისთვის „ღია კარის“ დღეს აწყობს. წინასწარ დარეგისტრირებული მოქალაქეები ხელმძღვანელი პირებისგან მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავ პასუხებს იღებენ. გარდა ამისა, იღებენ ინფორმაციას გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენების, განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ, ადგილზე ეცნობიან ოპერატორების მუშაობას.

- **“112”-ის წარმომადგენლების ვიზიტი სკოლაში** - ვიზიტის ფარგლებში, “112”-ის წარმომადგენლებმა პირველი კლასიკური გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლეებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია რა დროს და როგორ უნდა დარეკონ „112“-ზე და რა სანქციები არსებობს არამიზნობრივი/ცრუ გამოძახების შემთხვევაში.

სასაზღვრო პოლიცია

- **შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრების ვიზიტი სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე** - სტუმრებმა აილენდის კლასის ხომალდები „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“, გემთსარემონტო ბაზა, სპეციალური აღჭურვილობა დაათვალიერეს და სანაპირო დაცვის ამოცანებსა და სიახლეებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

- **ტრენინგი მარნეულში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის** - მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პროექტის „ახალგაზრდული რეფლექსი 2.0“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გაიმართა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკას: პროექტის გაცნობა და მიზნები, ადამიანის უფლებები, ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ძალადობა და მისი გამომწვევი მიზეზები. ტრენინგს დაესწრო 60 ადგილობრივი ახალგაზრდა (15 ივლისი).

- **ტრენინგი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პროექტის „ახალგაზრდული რეფლექსი 2.0“ ფარგლებში ჩაატარეს ტრენინგი შემდეგ თემებზე: ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ძალადობა და მისი გამომწვევი მიზეზები. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო დისკუსიას. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობა, ბავშვთა უფლებები და სხვ. ტრენინგს დაესწრო 50 ადგილობრივი ახალგაზრდა (23 აგვისტო)

- **ტრენინგი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანის უფლებებსა და ნაადრევ ქორწინებაზე** - ტრენინგი გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის მეგობრობის ხიდი “ქართლოსის“ და „კავკასიის ახალგაზრდული კავშირის“ ორგანიზებით, პროექტის „ახალგაზრდული რეფლექსი 2.0“ ფარგლებში და უძღვებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის დეპარტამენტის თანამშრომლები. ტრენინგს ესწრებოდნენ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 13-26 წლის ახალგაზრდები. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო დისკუსიას ისეთ თემებზე, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობა, ბავშვთა უფლებები, პოლიციის მიმართ დამოკიდებულება და ა.შ. (18 სექტემბერი)